ხელშეკრულება № 5

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ზუგდიდი 18 თებერვალი 2016 წ.

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N 11 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მანუჩარ ხარებავას სახით და მეორეს მხრივ, შპს "სოკარ ჯორჯია გაზი" სამეგრელო -გურიის რეგიონალური ოფისი , (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვახტანგ ბერიშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია 1 ცალი გაზის ელექტრონული კორექტორის (CPV:45333000) შესყიდვა , ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ. (მომწოდებელი კორექტორის დამონტაჟებას უზრუნველყოფს უსასყიდლოდ)

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა (გაზის ელექტრონული კორექტორი EK280.)

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 4163 (ოთხიათასასსამოცდასამი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (ქ. ზუგდიდი რ. ლაღიძის ქუჩა N 31).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით

გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ - ქალაქ ზუგდიდის № 11 საჯარო სკოლის დირექტორი.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების აგრეთვე შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმებას.

მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

მუხლი 8. სამუშაოს შესრულების გარანტია

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის მიწოდებისა და სამუშაოს დასრულებიდან ერთი წლის განმავლობაში უზრუნველყოს უხარისხო საქონლისა და უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

8.2. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება უნდა მოხდეს შეტყობინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 9. ფორსმაჟორი

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

9.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების

დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
10.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 11. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
11.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 12. შეტყობინება

12.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
12.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 13. გადასახადები და დაბეგვრა

13.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 14. ხელშეკრულების ენა

14.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 28 მარტის ჩათვლით.

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №11 საჯარო სკოლა ს/კ 219985737 მის: ქ. ზუგდიდი, რ.ლაღიძის ქ. N 11 ტელ: 551 09 45 55	შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ ს/კ 202403121 მის.: ქ. ფოთი დ. თავდადებულის ქ. N 1 ტელ.:
საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი LBERTGE22 ა/ნ GEO5LB0121125100121000	საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი BAGAGE22 ა/ნ GE24BG0000000283446204
დირექტორი ბანუჩარ ხარებავა	დირექტორი ვახტანგ ბერიშვილი

მიღება-ჩაბარების აქტი

23 თებერვალი 2016 წ.

ქ. ზუგდიდი

ერთის მხრივ, სსიპ „ქალაქ ზუგდიდის №11 საჯარო სკოლა“ (შემდგომში შესმყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მანუჩარ ხარებავას სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „სოკარ ჯორჯია გაზის“ სამეგრელო-გურიის რეგიონალური ოფისი (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვახტანგ ბერიშვილის სახით, აღნიშნული აქტით ვადასტურებთ, რომ მხარეებს შორის 2016 წლის 18 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულება №5-ის თანახმად, მიმწოდებლის მიერ განხორციელდა შემსყიდველისათვის ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული საქონლის (ელ.კორექტორი EK-280) მიწოდება და მონტაჟი.

მიწოდებული საქონლის ღირებულება შეადგენს 4163 (ოთხიათასი ასსამოცდასამი) ლარს.

აქტი შედგენილია 2 (ორი) ეგზემპლარად.

სსიპ „ქალაქ ზუგდიდის №11 საჯარო სკოლა“

ს/ნ 219985737

დირექტორი: /მ.ხარებავა/

შ.პ.ს. „სოკარ ჯორჯია გაზი“

სამეგრელო-გურიის რეგიონული ოფისი

ს/ნ 202403121

დირექტორი: /ვ.ბერიშვილი/

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0222563042

2	22/02/2016

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	11:48:13

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

4	შპს სოკარ ჯორჯია გაზი	202403121

გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი — საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5	სსიპ ქალაქ ზუგდიდის N11 საჯარო სკოლა	219985737

მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი — საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირებით

7	ფოთი დ. თავდადებულის #1

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	ზუგდიდი რ. ლაღიძის #11

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	საავტომობილო

ტრანსპორტირების სახე

10	BB361FF

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

X

მისაბმელი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	33001013721 დავით სამსონიძე

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი	გამყიდველი - 0

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	ელ.კორექტორი EK-280	OP00003523	ცალი	1.0000	4163.0000	4163.0000

13	4163 - ოთხი ათას ას სამოცდასამი ლარი და ნული თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	23.02.2016	12 : 44

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) — დრო (საათი, წუთი)

19	